ანასეულის ობსიდიანის გეოქიმიური ანალიზი და უძველესი ადამიანის მობილურობა დასავლეთ საქართველოში

გურამ ჩხატარაშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის
დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი.
საქართველო, 6010. ბათუმი. ნინოშვილი 32/35.
+995 577 550930. guramchkhatarashvili@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-0568-979X
ჯეიმს ა. დავენპორტი
რეაქტორის კვლევის ცენტრი, მისურის უნივერსიტეტი,
კოლუმბია, MO, 1513 რესეარჩ პარკ დრაივი, აშშ,
573-882-5287. davenportja@missouri.edu
ORCID: 0000-0003-2666-299X
მიხაელ დ. გლასკოკი
რეაქტორის კვლევის ცენტრი, მისურის უნივერსიტეტი,
კოლუმბია, MO, 1513 რესეარჩ პარკ დრაივი, აშშ,
573-882-5270. glascockm@missouri.edu
ORCID: 0000-0003-0686-755X

აბსტრაქტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანის მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩნდა, სადაც კაჟისა და ობსიდი-

ანის საინტერესო კოლექცია არის წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ობსიდიანის წარმომავლობის საკითხი გაურკვეველია. უკანასკნელ პერიოდში, ქართველი და ამერიკელი მკვლევარების მიერ ობსიდიანის არტეფაქტების წარმომავლობასთან დაკავშირებით საყურადღებო ნაშრომები გამოქვეყნდა (Chkhatarashvili, Glascock 2022; Chkhatarashvili et al., 2024a,b; Chkhatarashvili et al., 2025a,b). წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ანასეული I-II ნეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილი ობსიდიანის არტეფაქტებზე ჩატარებული გეოქიმიური ანალიზების შედეგებს. კვლევა ჩატარდა XRF მეთოდით მისურის უნივერსიტეტის რეაქტორული კვლევის (MURR) არქეომეტრიის ლაბორატორიაში. ანალიზმა გამოავლინა ობსიდიანის მომარაგების ორი განსხვავებული წყარო, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კავკასიის რეგიონი უძველესი დროიდან ადამიანის მობილობისა და კონტაქტების აქტიური ზონა იყო.

საკვანძო სიტყვები: გურია, ანასეული, ობსიდიანი, XRF, მობილურობა.